ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
დამატებითი პროგრამა: ქართული ფილოლოგია
კურიკულუმი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტის დასახელება | **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი** |
| პროგრამის დასახელება | **დამატებითი პროგრამა: ქართული ფილოლოგია**<br>**Georgian Philology** |
| პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 6 სემესტრი, 60 კრედიტი<br>(1 კრედიტი - 25 საათი) |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2023 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნის მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. |
| პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები | პროფესორი ბელა წიფურია, პროფესორი ირინა ლობჟანიძე, პროფესორი ნინო დობორჯგინიძე |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

დამატებითი პროგრამა შეთავაზებული იქნება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტებს შეეძლებათ მე-3 სემესტრის დაწყებამდე.

**პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტს მშობლიური ენისა და ლიტერატურის ძირითადი მახასიათებლები და მისცეს მას ფართო და ზოგადი ცოდნა ქართული ფილოლოგიის, ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის, ქართული ლიტერატურის ძირითადი მოვლენების შესახებ.
შეასწავლოს მას ქართული ენის მორფოლოგია და სინტაქსი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურული პროცესები და მნიშვნელოვანი ტექსტები.
პროგრამა უვითარებს სტუდენტებს ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, მსჯელობა და კრიტიკული ანალიზი, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. აღწერს ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საბაზისო საკითხებს;
2. თეორიულად გადმოსცემს ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საბაზისო საკითხებს და პრაქტიკულად აანალიზებს შესაბამის ენობრივ მასალას;
3. იცნობს დარგობრივ ტერმინოლოგიას;
4. ავლენს ცოდნას ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ, იცნობს ლიტერატურის თეორიის და ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად ასპექტებს;
5. აქვს ლიტერატურული ტექსტის წაკითხვის, ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი;
6. შეუძლია ქართული ლიტერატურის კონტექსტუალიზაცია, დაკავშირება ისტორიულ-პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ პროცესებთან;
7. ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტებს; გამოხატავს პატივისცემას ქართულისა და სხვა ენების მიმართ;
8. საჭიროებიდან გამომდინარე პრაქტიკულად იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს; ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების გათვალისწინებით.

**პროგრამის სტრუქტურა**

**ქართული ფილოლოგი**ის სტუდენტმა უნდა შეისწავლოს:
სავალდებულო კურსები კოდით HUMPHLGEN 60 კრედიტი:

შესავალი ქართულ ფილოლოგიაში
ენათმეცნიერების შესავალი
მორფოლოგია 1
მორფოლოგია 2
ქართული ენის სინტაქსი
ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი
ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა
ქართული ლიტერატურა XII-XVIII საუკუნეებში

ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში
ქართული ლიტერატურა XX-XXI საუკუნეებში

## სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- ელექტრონული და შერეული სწავლების ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია და სხვა.

შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

## შეფასების წესი

შეფასება **100-ქულიანი სისტემით** მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩაბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**შენიშვნა**: შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

## სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი
- სალექციო აუდიტორიები
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი
- უნივერსიტეტში არსებული ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და ვიდეო-ცენტრი
- უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული თეატრი
- სატელევიზო სწავლების ცენტრი
- საუნივერსიტეტო გამომცემლობა
- საგამოფენო გალერეები, მუზეუმები, არქივები
- გასვლითი ლექციები (ძეგლზე გასვლა)

# ქართული ფილოლოგია

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სავალდებულო კურსების ბლოკი - 60 კრედიტი | | | | | | | | |
| | კურსები | სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.) | ლექტორი | წინაპირობა | კრედიტები | საკონტ. სთ. | სემესტრები | |
| | | | | | | | შემ. | გაზ. |
| | შესავალი ქართულ ფილოლოგიაში | სავალდებულო | ნინო დობორჯგინიძე | | 6 | 32 | | X |
| | ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი | სავალდებულო | თამარ ლომიძე | | 6 | 32 | X | |
| | ენათმეცნიერების შესავალი | სავალდებულო | თამარ სუხიშვილი, ელენე ტატიშვილი | | 6 | 32 | X | |
| | მორფოლოგია 1 | სავალდებულო | თამარ მახარობლიძე, რუსუდან გერსამია | | 6 | 32 | X | |
| | მორფოლოგია 2 | სავალდებულო | თამარ მახარობლიძე, რუსუდან გერსამია | მორფოლოგია 1 | 6 | 32 | X | X |
| | ქართული ენის სინტაქსი | სავალდებულო | რუსუდან გერსამია | მორფოლოგია 2 | 6 | 32 | X | X |
| | ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა | სავალდებულო | ირმა ყარაულაშვილი | | 6 | 32 | X | |
| | ქართული ლიტერატურა XII-XVIII საუკუნეებში | სავალდებულო | ირმა ყარაულაშვილი | ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა | 6 | 32 | X | X |
| | ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში | სავალდებულო | თამარ ლომიძე | | 6 | 32 | X | |
| | ქართული ლიტერატურა XX – XXI საუკუნეებში | სავალდებულო | ბელა წიფურია | | 6 | 32 | | X |